

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ 34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>საჯარო მმართველობა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>საჯარო მმართველობის ბაკალავრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, მათ შორის 220 ECTS კრედიტი ეთმობა სააუდიტორიო სახის სწავლებასა და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას, 10 ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიულ პრაქტიკას და 10 ECTS კრედიტი სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს. პროგრამა შედგება სპეციალობის საბაზო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების (50 ECTS კრედიტი), სამართლის სასწავლო კურსების (40 ECTS კრედიტის, მათ შორის სავალდებულო 25 ECTS კრედიტი, 15 ECTS კრედიტი არჩევითი), სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების სასწავლო კურსების (40 ECTS კრედიტი, მათ შორის სავალდებულო 30 ECTS კრედიტი, 10 ECTS კრედიტი არჩევითი), ეკონომიკის და ფინანსების (40 ECTS კრედიტი, მათ შორის სავალდებულო 30 ECTS კრედიტი, 10 ECTS კრედიტი არჩევითი), საჯარო ადმინისტრირების (40 ECTS კრედიტის, მათ შორის სავალდებულო 30 ECTS კრედიტი, 10 ECTS კრედიტი არჩევითი) და თავისუფალი კომპონენტების (10 ECTS კრედიტის), სასწავლო კურსებისაგან.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>აკადემიური აქტიურობით და პროფესიული კომპეტენციების მქონე საჯარო მმართველობის ბაკალავრის მომზადება, რომელმელსაც აქვს საჯარო მმართველობის ინდერდისციპლინური მახასიათებლები - სამართლის, პოლიტიკის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, კონფლიქტების, უსაფრთხოების, ადმინისტრირების, სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციის ძირითადი საკითხები ცოდნა და შემდგომი უწყვეტი განათლების და პროფესიული განვითარების მოთხოვნილებისა და უზრუნველყოფის საფუძველი.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>გათავისუფლებული აქვს საჯარო მმართველობის სუბიექტების საქმიანობის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა, საჯარო მმართველობის პროცესების სირთულე, საჯარო მოხელეთა პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკური ნორმების დაცვის, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობა. შეუძლია შეარჩიოს და გამოიყენოს აპრობირებული მეთოდები მმართველობით-ადმინისტრაციულ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების და განხორციელებული ქმედებების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიმართულებით ანალიზისთვის, არგუმენტირებული, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისათვის; ძირითადი პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და მმართველობითი ცოდნა პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით დასახული მიზნების და ამოცანების განხორციელებისათვის;</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი: ირაკლი მანველიძე ტელ : 577 14 10 99 E-mail irakli.manvelidze@bsu.edu.ge</p>